პროლეტარებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

შაბათი, 28 აგვისტო, 1943 წ. № 181 (6806). ფასი 20 კაპ.

საუკეთესოდ მოვემზადოთ საშემოდგომო თესვისათვის

უმაღლესი მთავარსარდლის საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ **სტალინის** ბრძანებას უკრაინის მეორე დედაქალაქის — ხარკოვის განთავისუფლების შესახებ საქართველოს მშრომელები მთელი საბჭოთა კავშირის ხალხებთან ერთად უდიდესი აღფრთოვანებით შეხვდნენ. გმირი წითელი არმიის ძლევამოსილმა შეტევამ სამამულო ომის ფრონტებზე, სტალინური სტრატეგიის ახალმა ბრწყინვალე გამარჯვებამ კოლმეურნე გლეხობა აღაფრთოვანა ახალი შრომითი მამაცობისათვის. კოლმეურნეები და სოფლის მეურნეობის მუშაკები დაუღალავად იბრძვიან იმისათვის, რომ სულ უფრო მზარდი დახმარება გაუწიონ ფრონტს გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა განადგურების დაჩქარების საქმეში. საქართველოს კოლმეურნეო სოფელში უდიდესი პოლიტიკური და საწარმოო აღმავლობაა. სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები უფრო ორგანიზებულად და უკეთესად მიმდინარეობს, ვიდრე წინათ. საქართველოში ფართოდ გაჩაღებულია სოციალისტური შეჯიბრება უხვი სამხედრო მოსავლისათვის და საკოლმეურნეო მეცხოველეობის შემდგომი აღმავლობისათვის. საქართველოს სს რესპუბლიკა საგაზაფხულო თესვის სახელმწიფო გეგმის გადაჭარბებით შესრულებისა და მტს-ების საუკეთესო მუშაობისათვის ცნობილია თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მიღების კანდიდატად. ეს ბევრ რამეს გვავალებს. ამოცანა ის არის, რომ მოვიპოვოთ პირველობა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში, სწრაფად და უდანაკარგოდ ავიღოთ სამხედრო მოსავალი, დროულად და მაღალხარისხოვნად შევასრულოთ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებათა გეგმები.

მთელმა რიგმა რაიონებმა და კოლმეურნეობებმა ორგანიზებულად აიღეს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავალი. კოლმეურნეობები პირველ განალეწ მარცვლეულს სახელმწიფოს აბარებენ. ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების, საბჭოთა და სამეწარმოო-მოქმედო ორგანოების ვალია უზრუნველჰყონ ყველგან მოსავლის მოკლე ვადებში, უდანაკარგოდ აღება და პურის ჩაბარების გეგმების წარმატებით შესრულება. ზოგან მარცვლეულის ლეწვა და პურის ჩაბარების ტემპები დაბალია. გადაუდებელი ამოცანაა სამხედრო ტემპებით გავაჩაღოთ ლეწვა და უზრუნველვყოთ ყველა კოლმეურნეობის მიერ პურის ჩაბარების გეგმის დროულად შესრულება. მოსავლის მთლიანად აღებისა და ლეწვის დაჩქარების საქმეში სერიოზული ამოცანები აკისრიათ მტს-ებს. ფარდოდ უნდა დავნერგოთ მოწინავე მტს-ების გამოცდილება და უზრუნველვყოთ მინდვრად ყველა კომბაინისა და ტრაქტორის მაღალნაყოფიერი მუშაობა. **„მოსავლის თავის დროზე და უდანაკარგოდ აღება—ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს პარტიული ორგანიზაციების ყურადღების მიპყრობას ჩამორჩენილი მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მუშაობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისაკენ. მტს-ის კარგი მუშაობა—ეს სოფლის მეურნეობაში წარმატების საფუძველია“** („პრავდა“). სამეწარმოო-მოქმედო ორგანოებმა უნდა გაძლიერონ დახმარება მტს-ებისადმი, დაუნდობელი ბრძოლა უნდა გამოუცხადონ ყოველგვარ უყაირათობას და გააუმჯობესონ ყველგან სასოფლო-სამეურნეო მანქანების გამოყენება.

მოსავლის აღებასა და მინდვრის სხვა სამუშაოებთან ერთად ფართოდ უნდა გავაჩაღოთ მზადება საშემოდგომო თესვისათვის. ახლოვდება თესვის დაწყების დრო. ამ ფრიად სერიოზულ სამუშაოს ყოველმხრივ მომზადებული უნდა შეეხვდეთ. საშემოდგომო თესვის შემჭიდროებულ ვადებში და მაღალხარისხოვნად ჩატარება უხვი მოსავლის საფუძველია. საშემოდგომო პურეული ყველაზე მოსავლიანი, ყველაზე გამძლეა. საქართველოს კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საბრძოლო ამოცანაა გაადვილონ საშემოდგომო ნათესები. ეს იქნება მზარდი დახმარება ფრონტისადმი. არ უნდა დავკარგოთ არც ერთი დღე, ვიმუშაოთ გაორკეცებული ენერგიით. ზოგან ჯერ კიდევ არ გაუჩაღებიათ თესვისათვის მზადება. ომიანობის შესაფერისი ტემპებით. ქარელის რაიონის მთელი რიგი კოლმეურნეობები სუსტად ემზადებიან თესვისათვის, ჩამორჩა თესლის გაწმენდა. კაპრეთისა და გურჯაანის მტს-ებში უზრუნველყოფილი არ არის ყველა ტრაქტორის მაღალნაყოფიერი მუშაობა, რის გამო საშემოდგომო ხვნა ჭიანურდება. მაღალი მოსავლის მისაღებად საჭიროა კარგად მოვამზადოთ ნიადაგი. საქართველოს მტს-ებს 20 აგვისტოსათვის ტრაქტორებით მოხნული ჰქონდათ 10.000 ჰექტარზე მეტი. საჭიროა გადაჭრით გავაძლიეროთ საშემოდგომო ხვნის ტემპები. ტრაქტორების ნორმალური მუშაობისათვის მტს-ების ხელმძღვანელმა მუშაკებმა ამთავითვე უნდა მოაწყონ მინდვრად მძრავი სარემონტო სახელოსნოები, რათა მექანიზმის ოდნავი დეფექტისას შესაძლებელი გახდეს მისი ადგილზე შეკეთება. კოლმეურნეობათა გამგეობებმა სერიოზული ყურადღება უნდა მიაქციონ საშემოდგომო ხვნა-თესვაზე მუშა-საქონლის წესიერად გამოყენებას. ეს მოითხოვს გადაჭრით გავუთქჯობესოთ მუშა-საქონლის მოვლა.

ადგილობრივმა პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა, სამეწარმოო-მოქმედო ორგანოებმა ყველა ზომა უნდა მიიღონ სათესლე ნაკვეთების მოსავლის დროულად აღებისა და გალეწვისათვის. თითოეულმა კოლმეურნეობამ უნდა უზრუნველჰყოს თავისი ეკონომიკური საკუთარი თესლით.

საშემოდგომო ხვნა უნდა ჩავატაროთ მაღალ აგროტექნიკურ დონეზე, ნიადაგი მოვხნათ ღრმად, არ დავუშვათ ხარვეზები, ვთესოთ სწრაფად, დაწესებულ ვადებში და მტკიცედ დავიცვათ თესვის დაწესებული ნორმები. კოლმეურნეობათა თავმჯდომარეებმა, მტს-ების სატრაქტორო ბრიგადირებმა, აგრონომებმა თვალყური უნდა ადევნონ იმას, რომ საშემოდგომო ხვნა-თესვისას დარღვეული არ იქნას აგროტექნიკის მოთხოვნები. ჯერ კიდევ არის დრო, რომ გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი საშემოდგომო თესვისათვის მზადებაში. საშემოდგომო თესვა დროის მიხედვით მოსავლის აღებისა და მინდვრის სხვა სამუშაოებს ემთხვევა. ძალთა სწორი განაწილებით უნდა მივაღწიოთ იმას, რომ თესვის გეგმა არა მარტო მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შესრულდეს.

მთელს საბჭოთა კავშირში ფართოდ არის გაშლილი პატრიოტული მოძრაობა გერმანელ ფაშისტ მტაცებლებაგან განთავისუფლებული რაიონებისათვის დახმარების გასაწევად. საბჭოთა მთავრობა, **ლენინ-სტალინის** პარტია, მთელი საბჭოთა ხალხი უდიდეს მზრუნველობას იჩენენ ჰიტლერული უღლისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის საქმისადმი. სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“ წარმოადგენს გრანდიოზულ გეგმას უდიდესი მუშაობისას, რომელიც უნდა ჩატარდეს განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის სწრაფად აღდგენისათვის. ეს ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი უნდა გავაცნოთ ყველა მუშას, კოლმეურნეს, მოსამსახურეს, განვუმარტოთ მისი მნიშვნელობა. სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას საქართველოს მშრომელები უდიდესი მოწონებით შეხვდნენ და მას ახალი შრომითი მამაცობით უპასუხებენ.

ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურის მოსავლის დროულად, უდანაკარგოდ აღებით, სახელმწიფო ვალდებულებათა პირნათლად შესრულებით, საშემოდგომო თესვის სანმუშოდ ჩატარებით მოვიპოვოთ პირველობა სრულიად-საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში. ღირსეულად შევასრულოთ ჩვენი მოვალეობა სამშობლოსა **და** ფრონტის წინაშე!

ნითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობისათვის სამხედრო წოდებათა მინიჭების შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილება

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭო **დადგენს:**

მიენიჭოთ წითელი არმიის უმაღლეს უფროსთა შემადგენლობის ქვემოთდასახელებულ პირებს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1940 წლის 7 მაისის ბრძანებულებით დაწესებული სამხედრო წოდებანი:

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე ი. სტალინი
სსრ კავშირის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველი ი. ჩადაევი

მოსკოვი, კრემლი. 1943 წ. 27 აგვისტო.

არმიის გენერლის წოდება

ალექსი ინოკენტის-ძე **ანტონოვს**
ანდრია ივანეს-ძე **ერომენკოს**
ვასილი დანილის-ძე **სოკოლოვსკის.**

გენერალ-პოლკოვნიკის წოდება

ივანე ქრისტოფორეს-ძე **ბაგრამიანს**
პავლე ალექსის-ძე **კუროჩკინს**
ივანე ექვთიმეს-ძე **პეტროვს.**

ხარკოვი ჩვენია! კიევიც ჩვენი იქნება!

ჰიტლერელთა არმიების წინააღმდეგ გმირულ ომობაბრძოლაში, ევროპის კონტინენტზე მეორე ფრონტის უქონლობის პირობებში, წითელმა არმიამ მიაღწია შესანიშნავ წარმატებებს, რომლებიც საბოლოო გამარჯვების ჟამს გვიახლოვებენ.

* * *

კატასტროფის აჩრდილი მთელი სიგრძე-სიგანით დგება გერმანიის არმიის წინაშე.

ნიკოლოზ ტიხონოვი დღეს „პრავდაში“ სწერს:

უროს ცემის ხმასავით გაისმის წითელი არმიის დარტყმები: ორიოლი, ბელგოროდი, სპას-დემენსკი, კარაჩოვი. გამაყრუებელი ხმაურით გაისმა უროს ახალი დარტყმა—ხარკოვი.

ქუჩაში ზამთარი როდია, არ შეიძლება ყინვის მომიზეზება. ქუჩაში ზაფხულია—„ომის გერმანული სეზონი“. ეს უკვე დაცინვად მოისმის.

ყველა სეზონი წითელი არმიის ხელში გადმოდის! მიჰქარავ, გერმანელო! ჩვენ გასწავლით სირბილს აგვისტოშიც, როგორც გარბოდი ივლისში, გარბენინებთ სექტემბერში ისევე, როგორც დეკემბერში გარბოდი. შენ ჯერ კიდევ გაქვს ტექნიკა და სიმარი მასალები, შენ ჯერ კიდევ იცი ჩასანგრება და ნაღმების ჩაწყობა, შენი გენერლები ჯერ კიდევ ერკვევიან რუკებში, მაგრამ მრისხანე ნემესიდა კვალდაკვალ მოგდევს და მას მრისხანე მეომრები ჰყავს.

წითელი არმია მოგდევს კვალდაკვალ! ხარკოვი ჩვენია! კიევიც ჩვენი იქნება! ჩვენ დავიბრუნებთ მთელს უკრაინას! ჩვენ გავრეკავთ ყველა დამპყრობთ, გაველეტთ ყველას, ვინც ჩვენს თავისუფალ მიწა-წყალზე შემორჩენილა!

* * *

უძლური გააფთრებით შეპყრობილი გერმანელები ამრავლებენ თავიანთ საზარელ დანაშაულთ საბჭოთა მიწა-წყალზე.

„პრავდის“ კორესპონდენტი ამბ. პოლევოი, იუწყება რა, რომ გერმანელებმა საღორედ აქციეს რუსეთის ერთ-ერთი უძველესი, ას წელზე მეტი ხნის წინათ დაარსებული, ხარკოვის უნივერსიტეტი, სწერს:

ლორები უძველესი უნივერსიტეტის აუდიტორიებში, არყის ხდა მსოფლიოში ცნობილი სამეცნიერო-საკვლევო ინსტიტუტის ლაბორატორიებში, მსახიობი ჭალი, რომელიც ჭურჭელს რეცხავს ჯარისკაცთა სამეკანტინოში, გონებრივი შრომის ათასობით ადამიანები, მოტყუებით წაყვანილნი გერმანიაში და მუშა-პროტესტად ქცეულნი, ქუჩაში შიშველისაგან მომკვდარი ინჟინრის გვამი,—ამაზე უფრო ნათლად რას შეუძლია დაახასიათოს ჰიტლერული „ახალი წესრიგის“ მხეცური არსი?

(მიღებულია რადიოთი საქმადიოკომიტეტის მიერ).

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

27 აგვისტოს ოპერაციული ცნობა

27 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც უტევენ ხარკოვის დასავლეთით, წინ წაიწიეს ცალკეულ ადგილებზე 5-დან 8 კილომეტრამდე და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი. რაიონული ცენტრი კოტელვა, რომელიც რამდენჯერმე გადავიდა ხელიდან ხელში, კვლავ დაიკავეს ჩვენმა ჯარებმა.

ბრიანსკის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები ეწეოდნენ შეტევითს ბრძოლებს, რომელთა შედეგადაც გასტეხეს მტრის წინააღმდეგობა და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი სევსკი.

ნინბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით მდებარე რაიონში, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითს შეტევას.

ფრონტის სხვა უბნებზე ჩვენი ჯარები საბრძოლო დაზვერვას ეწეოდნენ.

26 აგვისტოს განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაანგრიეს და მოსპეს გერმანელთა 63 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 61 თვითმფრინავი.

* * *

ხარკოვის დასავლეთით ჩვენი ჯარები სძლევდნენ მტრის წინააღმდეგობას, განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს მთელი რიგი დასახლებული პუნქტები. ამ პუნქტებისათვის წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია გერმანელთა 1 პოლკამდე ქვეითი ჯარი. 6 შეიარაღებულ მებრძოლებმა სამი დღის ბრძოლების განმავლობაში ქ. ახტირკის სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით გაჟლეტეს 2.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, დააზიანეს და დასწვეს 76 ტანკი, 13 ჯავშნიანი მანქანა და 20 ქვემეხი. მოწინააღმდეგეს წაავართვეს 16 ტანკი, 27 ჯავშნიანი მანქანა, 4 სარკინიგზო ეშელონი, 2 საწყობი სურსათი და სხვა დაკლა.

ხარკოვის სამხრეთით ჩვენი ჯარები იგერიებდნენ მოწინააღმდეგის ტანკებისა და ქვეითი ჯარის გაალფთრებულ კონტრიერიშებს. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში მათ დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 23 ტანკი და სერიოზული ზარალი მიაყენეს მოწინააღმდეგის ცოცხალ ძალას.

საბჭოთა მებრძოლები და ოფიცრები გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლებში მამაცობისა და გმირობის ნიმუშებს გვიჩვენებენ. უფროს სერჟანტ რუკკის ტანსაწინააღმდეგო ქვემეხის გუნდმა ერთ ბრძოლაში მოსპო გერმანელთა 2 ტანკი და მოწინააღმდეგის რამდენიმე ათეული მეავტომატე. კაპიტან დანილიანის ქვეგანაყოფის მებრძოლთა ჯგუფი მიეპარა გერმანელთა თვითმავალ ქვემეხ „ფერდინანდს“, რომელიც უშენდა ჩვენს საბრძოლო წყებებს. წითელარმიელებმა ააფეთქეს სავალი ნაწილი და ხელში ჩაიგდეს ქვემეხი. ლეიტენანტ დიმიტრიევის ტანკის ეკიპაჟმა ერთი დასახლებულ. პუნქტისათვის ბრძოლებში მოსპო გერმანელთა 2 ტანკი, 6 ავტომანქანა და გაჟლეტა ერთ ასეულამდე ჰიტლერელი.

* * *

ბრიანსკის სამხრეთით მდებარე რაიონში ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი სევსკი.

შეტევა სევსკზე საბჭოთა ჯარებმა დაიწყეს ქალაქის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ძლიერი სარტილერიო და საავიაციო მომზადების შემდეგ ჩვენმა ნაწილებმა გაარღვიეს გერმანელთა თავდაცვა, გასტეხეს მათი შეუპოვარი წინააღმდეგობა და წინ წაიწიეს. ამავე დროს 6 შეიარაღებულ მებრძოლებმა იერიში მიიტანეს ქალაქზე აღმოსავლეთიდან. მოწინააღმდეგემ ვერ გაუძლო ჩვენი ქვეითი ჯარის, არტერიისა და ტანკების დარტყმებს. გაფთრებული ბრძოლების შემდეგ საბჭოთა ნაწილებმა დაიკავეს ქალაქი სევსკი. ქალაქისათვის ბრძოლებში მოსპობილია 5.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ტყვედ წამოყვანილია 700 ჰიტლერელი. წამოღებულია დაკლა.

ჩვენი ავიაცია აქტიურად ეხმარებოდა სახმელეთო ჯარების შეტევას. დღის განმავლობაში ჩვენმა თვითმფრინავებმა სამი მასირებული თავდასხმა მოახდინეს მოწინააღმდეგის ჯარებსა და პოზიციებზე. ავიაციის დარტყმების შედეგად გერმანელებს მძიმე ზარალი მოუვიდათ. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 26 თვითმფრინავი.

* * *

დონბასში, ვოროშილოვგრადის სამხრეთ-დასავლეთით, ჩვენი ჯარები ეწეოდნენ წარმატებით საბრძოლო მოქმედებას, რომლის შედეგადაც წინ წაიწიეს. 6 შეიარაღებულ ნაწილებმა გაჟლეტეს 800 ჰიტლერელი და ხელში ჩაიგდეს გერმანელთა 2 ტანკი, 11 ქვემეხი, 34 ტყვიამფრქვევი და საბრძოლო მასალათა საწყობი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტის ერთ უბანზე გერმანელთა ქვეითმა ჯარმა იერიში მიიტანა ჩვენს პოზიციებზე. საბჭოთა მებრძოლებმა ცეცხლი დაუშინეს და მოსპეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი. ბრძოლის ველზე აკრეფილ იქნა გერმანელთა მიერ მიტოვებული 8 ტყვიამფრქვევი, 6 ფრანატსატყორცნი და სხვა საჭურველი. სხვა უბანზე ჩვენი მზვერავები თავს დაესხნენ მოწინააღმდეგის ძლიერ გამაგრებულ დასაყრდენ პუნქტს, გაჟლეტეს 60 გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი და ხელში ჩაიგდეს 11 მცირეყალიბიანი ზარბაზანი.

* * *

წითელდროშოვანი ბალტიის ფლოტის აავიაციამ ჩასძირა გერმანელთა ტრანსპორტი 3.000 ტონა წყალწყვისა და მოწინააღმდეგის საგუშაგო ხომალდი.

* * *

გერმანელთა თვითმფრინავი „მესერშმიტ-109“ დაეშვა ხარკოვის ოლქის ფრონტისპირა საბჭოთა მეურნეობა „კრასნაია ვოლნას“ მინდორში. საბჭოთა მეურნეობის ბრიგადირმა ივანე სიმონის-ძე ხელინსკიმ განაიარაღა გერმანელი მფრინავი და რამდენიმე მუშას დააკისრა მიეყვანათ იგი საბჭოთა ნაწილის შტაბში. ამასობაში ძირს დაეშვა სხვა გერმანელი მფრინავიც, რაკი დარწმუნდა, რომ მინდორში სამოქალაქო უიარაღო პირნი იმყოფებიან, გერმანელმა მფრინავმა რევოლვერი ესროლა ზელინსკის, მაგრამ ვერ მოახვედრა. საბჭოთა პატრიოტმა მარჯვედ დარტყმით პიტლერელს ხელიდან გააგდებინა რევოლვერი და შეიპყრო იგი. ორივე გერმანელი მფრინავი გადაეცა მოსულ წითელარმიელებს. თვითმფრინავები სავსებით წესიერ მდგომარეობაში ჩაბარდა საბჭოთა საავიაციო ნაწილს.

* * *

ბელორუსთა რამდენიმე პარტიზანულმა რაზმმა, რომლებიც ვიტებსკისა და ვილეიკის ოლქების რაიონებში მოქმედებენ, ჩაატარა წარმატებითი ოპერაცია მოწინააღმდეგის გზების დასანგრევად. აფეთქებულია რამდენიმე სარკინიგზო და საგზატკეცილო ხიდი. რკინიგზის დიდ სადგურზე პარტიზანებმა მოსპეს ყველა შესასვლელი და გასასვლელი ისარი, სემაფორი და ეშელონი სხვადასხვა სამხედრო ტვირთიანად. რკინიგზის სხვა სადგურზე დაანგრიეს გერმანელთა სამხედრო საწყობები, რომლებშიც ინახებოდა საბრავი, საომარი ძალალები, სურსათი და ფურაჟი. ტყვედ წამოყვანილია მტრის 147 ჯარისკაცი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა. ვოროშილოვის სახელობის იმ რაზმის პარტიზანები, რომელიც პოლესიეს ოლქში მოქმედებს, თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურის მცველ რაზმს. გერმანელებს მოულოდნელად წაადგნენ თავს, და ისინი გაიქცა-გამოიქცნენ. ტყვედ წამოყვანილია მოწინააღმდეგის 142 ჯარისკაცი და ოფიცერი. საბჭოთა პატრიოტებმა ხელთ იგდეს დიდი დავლა.

* * *

ნოვგოროსიისკის ჩრდილო - აღმოსავლეთით ჩვენმა ქვეგანაყოფებმა გაანადგურეს გერმანიის 116-ე გრენადერთა პოლკის ბატალიონის შტაბი. ხელში ჩაგდებულ საშტაბო დოკუმენტებ შორის აღმოჩნდა 116-ე პოლკის მეთაურის—პოლკოვნიკ ებბის ბრძანება პარტიზანთა მოძრაობასთან ბრძოლის შესახებ. ბრძანებაში ნათქვამია: „ტყიან რაიონებში მეტად გაძლიერდა პარტიზანების მოქმედება. პარტიზანების ბირთვი ადგილობრივი მცხოვრებლებისაგან შესდგება. პარტიზანები ახდენენ მრავალრიცხოვან თავდასხმებს სამხედრო რაზმებსა და ალაგებზე, რომლებიც მოწინავე ხაზისაკენ მიემართებიან. უკვალოდ იკარგებიან გერმანიის არმიის ჯარისკაცები და ოფიცრები. მეზობელ დივიზიონში არ დაბრუნებულა თავის ნაწილში ფურაჟის მიმწოდებელი რაზმი. სხვა შეიარაღებულ 20-მა ჯარისკაცმა თავისი მეთაური მოჰკლა და პარტიზანებთან წავიდა“. დაშინებულმა გერმანელმა პოლკოვნიკმა ამ ბრძანებაში დაავალა თავის ქვეგანაყოფებს შემდეგში აღალები მხოლოდ ძლიერი მცველი რაზმის თანხლებით ჰგზავნონ.

* * *

ტყვედ წამოყვანილმა გერმანელთა მე-19 სატანკო დივიზიის ჯავშნიანი მანქანების ოცეულის მეთაურმა, ლეიტენანტმა კურტ ლოტერგუტსმა განაცხადა: „მეცხრამეტე სატანკო დივიზია ერთ-ერთ საუკეთესო დივიზიად ითვლებოდა გერმანიის -არმიაში. ამიტომ, როცა რუსებმა ბელგოროდის რაიონში რამდენიმე დღის განმავლობაში გაანადგურეს ეს დივიზია, ჩვენ ყველას თავზარი დაგვეცა. დივიზიის უბადრუკი ნაშთები სასწრაფოდ გაიყვანეს ახლო ზურგში, მაგრამ აქაც ჩვენ საკმაო დრო არ მოგვცეს, რომ წესრიგში მოვსულიყავით, და კვლავ ჩაგვბეს ბრძოლაში. გრაიეოროონის აღმოსავლეთით ჩვენ გარემოცვაში მოვხვდით. ჯავშნიანი მანქანების ბევრმა ეკიპაჟმა მიატოვა თავისი ტექნიკა და „გაიქცა-გამოიქცა. შემდგომი წინააღმდეგობა უსარგებლო იყო. მე ჩემს ეკიპაჟებს ვუბრძანე იარაღი დაეყარათ და ტყვედ დანებებულიყვნენ“.

საბჭოთა მთავრობის მიერ საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის ცნობის შესახებ

17 ივნისს საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტმა გადასცა საბჭოთა მთავრობას თავისი 3 ივნისის დეკლარაცია და თავისი მმართველი მისი ცნობის საკითხის შესახებ. 26 აგვისტოს საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა საბჭოთა მთავრობის დავალებით საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების საუფლების კომიტეტს აცნობა შემდეგი:

„საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ, გაეცნო რა საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის დეკლარაციას, გადაწყვიტა იცნოს საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტი, როგორც საფრანგეთის რესპუბლიკის სახელმწიფო ინტერესების წარმომადგენელი და ხელმძღვანელი ყველა ფრანგი პატრიოტისა, რომლებიც იბრძვიან ჰიტლერული ტირანიის წინააღმდეგ, და მოახდინოს მასთან სრულფასოვანი წარმომადგენელთა გაცვლა-გამოცვლა.

ბრძოლები იზიუმის სამხრეთით

მოქმედი არმია, 26 აგვისტო (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). როცა მიტინგი დამთავრდა, ნ ნაწილის ქვეგანაყოფებში მიღებულ იქნა ბრძანება გერმანელთა სიმაგრეებზე იერიშის მიტანის შესახებ.

ამ ნაწილის მებრძოლები და ოფიცრები, უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშლის ამხანაგ სტალინის ბრძანებით აღფრთოვანებულნი, მძაფრად ეკვეთნენ საიერიშოდ. გუშინ გვარდიელებმა გახდეველეს ფაშისტები იზიუმის სამხრეთით არსებულ წინააღმდეგობის ერთი ძლიერ გამაგრებული კვანძიდან. გვარდიელებმა განაგრძეს წარმატებით დაწყებული შეტევა, სული არ მოათქმევინეს მტერს და დღის განმავლობაში დაიკავეს წინააღმდეგობის 4 კვანძი და გამაგრდნენ მიღწეულ ხაზებზე.

არაჩვეულებრივი პატრიოტული აღფრთოვანება, მჭუხარე აღტაცება, სიხარულისა და სიამაყის გრძნობები გამოიწვიეს მებრძოლთა და ოფიცერთა შორის საყვარელი ბელადისა და მბრძანებლის—დიდი სტალინის მადლობის სიტყვებმა.

მებრძოლები და ოფიცრები ერთმანეთს ართმევდნენ ხელს, ულოცავდნენ ბრწყინვალე გამარჯვებას. წინა კიდეზე საბრძოლო წყებათა მწკრივში ურთიერთს გადასცემდნენ სასიხარულო ცნობას ხარკოვის განთავისუფლების შესახებ და ბელადის მადლობის სიტყვებს.

მებრძოლები და ოფიცრები ფიცს სდებდნენ, რომ ახალი საბრძოლო წარმატებებით უპასუხებდნენ უმაღლესი მთავარსარდლის მადლობას.

ის იყო ირიერაკა, რომ ჩვენი ფრონტის ჯარები იერიშზე გადავიდნენ მოწინააღმდეგის გამაგრებულ პოზიციებზე იზიუმის სამხრეთით მდებარე რაიონში. გერმანელები შეუპოვრად გვიწევდნენ წინააღმდეგობას. ისინი მრავალრიცხოვანი კონტრიერიშებით ცდილობდნენ შეეჩერებინათ ჩვენი ნაწილების მძაფრი მიძღვა, მაგრამ ვერაფერმა ვერ გასტეხა ჩვენი მებრძოლების შეტევითი გაქანება. ჩვენმა ჯარებმა წინ წაიწიეს და დაიკავეს მოწინააღმდეგის რამდენიმე გამაგრებული პოზიცია.

მარტო ერთ სოფელში, მის ქუჩებსა და ბაღებში მოსპობილ იქნა 500-ზე მეტი ჰიტლერელი. სხვა დასაყრდენი პუნქტისათვის ბრძოლებში საბჭოთა მებრძოლებმა გაჟლეტეს 600 ჰიტლერელი და ხელში ჩაიგდეს ერთი ვაგონი ტანკი, 10 ქვემეხი და 300 ეფელსიპედი.

როგორც ჩვეულებრივ, სახმელეთო ჯარების საბრძოლო მოქმედებას ხელს უწყობდა ჩვენი ავიაცია. მას იერიშში მიჰქონდა და ბომბავდა მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებას და მის ზურგს. ჩვენმა მფრინავებმა ამ დღეს დაახიანეს და მოსპეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 150-მდე ავტომანქანა, ჩაიხუმეს 15 სარტილერიო ბატარია. ჩვენმა მფრინავებმა, რომლებიც იცავენ თავიანთ ჯარებს მტრის ავიაციის თავდასხმებისაგან, ამ დღეს საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს მტრის 31 თვითმფრინავი.

მამაცობა და გულადობა გვიჩვენა 12 მებრძოლმა კომკავშირელმა ლეიტენანტ ვასილოვის მეთაურობით. 13 ჩვენი უშიშარი მებრძოლი, რომელთაც ერთი ტანკსაწინააღმდეგო თოფი და 10 ტანკსაწინააღმდეგო გრანატა ჰქონდათ, ჩაება ბრძოლაში გერმანელთა 10 ტანკთან. მამაცმა კომკავშირელებმა დასწვეს 2 ტანკი, დააზიანეს 2, ხოლო დანარჩენები აიძულეს უკან დაეხიან. 13-ვე გმირი წარდგენილია მთავრობის ჯილდოზე.

უფროსმა სერჟანტმა ბაბუნოვმა თავისი ქვემეხი მიაგორა უშუალოდ გერმანელთა პოზიციებთან, გაჟლიტა ერთ ოცეულამდე ჰიტლერელი და მოსპო 2 დაზგის ტყვიამფრქვევი.

ფზერავი ტიხონოვი თავის ჯგუფთან ერთად ღამით გადაიდა სეგერნი დონეცზე და შეაღწია მოწინააღმდეგის განლაგებაში. ტიხონოვის ჯგუფმა გააჩაღა ბრძოლა, გაჟლიტა რამდენიმე ჰიტლერელი და „მოენედ“ წამოიყვანა ერთი ეფრეიტორი.

ა. სტეპოლნიკოვი

100 ეშელონი ქვანახშირი გეგმის გადამეგებით კომკავშირის წლისთავისათვის

1 ივნისს ტრესტ „პროკოპიევუგოლის“ ვოროშილოვის სახელობის შახტის კომკავშირელებმა და ახალგაზრდობამ კუზბასის ყველა ახალგაზრდა მაღაროელს წინადადებით მიმართეს—კომკავშირის XXV წლისთავისათვის ამოიღონ და თავდაცვის საწარმოებს გადუგზავონ გეგმის გადამეტებით 100 ეშელონი ქვანახშირი. შეჯიბრების ინიციატორებმა ვალდებულება იკისრეს—შეიტანონ ამ ფონდში 5.000 ტონა სათბობი.

ოთხვე-ნახევრის განმავლობაში შახტის ახალგაზრდა მაღაროელებმა არასამუშაო დროს ყამოიტაცეს 1.454 დღე და ამ ხნის განმავლობაში ამოიღეს 5,5 ათასი ტონა სათბობი.

უდანაკარგოთ ავიღოთ უხვი მოსავალი, შევასრულოთ სახელმწიფო ვალდებულებანი

ჩაის ფოთოლი არის, გეგმა შეუსრულებელია

ბათუმი („კომუნისტის“ საკ. კორ.). უკანასკნელი თვეები აჭარაში აღიიშნება ჩამორჩენით ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის საქმეში. ქობულეთისა და ბათუმის რაიონების საბჭოთა მეურნეობებმა და კოლმეურნეობებმა ივლისში ქვეყანას დაკლეს 1.400-ჯერ ტონა ჩაის ფოთოლი; კრეფის თვიური გეგმა 50,6 პროცენტით შესრულდა. ჩამორჩენა აგვისტოში კიდევ უფრო საგრძნობი გახდა. აგვისტოში წინა თვეების დანაკლისის ჩათვლით აჭარაში უნდა მოიკრიფოს 4.012,1 ტონა ჩაის ფოთოლი. 20 აგვისტოსათვის ჩაის კრეფის თვიური გეგმა შესრულებული იყო 28,5 პროცენტით.

ზოგიერთი საბჭოთა მეურნეობისა და კოლმეურნეობის ხელმძღვანელები გეგმის შეუსრულებლობის მიზეზად ჩაის ბუჩქს სუსტ ვეგეტაციას ასახელ

პარტიული ცხოვრება

ქალაქ სოხუმის პარტიული აქტივის კრება

სოხუმი („კომუნისტის“ ხაკ. კორ.). შესდგა ქალაქ სოხუმის პარტიული აქტივის კრება, მიძღვნილი ამხანაგ სტალინის წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ შესწავლისადმი.

ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლასა და სოხუმის პარტიული ორგანიზაციების ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) აფხაზეთის საოლქო კომიტეტისა და სოხუმის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. ა. მგელაძე. მან აღნიშნა, რომ ამხანაგ სტალინის წიგნი ჩვენი ეპოქის უდიდესი დოკუმენტაა. ის არის საბრძოლო მოწოდება, მოქმედების დიდი პროგრამა ფრონტისა და ზურგისათვის. ამხანაგ სტალინის წიგნის შესასწავლად სოხუმში ჩამოყალიბდა წრეები. ფართოდ არის გაშლილი წიგნის დამოუკიდებლად შესწავლა. დამოუკიდებლად შემსწავლელთა ამხანაგებისათვის პარტკაბინეტი აწყობს ლექციებს, მოხსენებებს, სემინარებს, კონსულტაციებს. მომხსენებელი ვრცლად შეჩერდა ბელადის წიგნის შესწავლასთან დაკავშირებულ მთელ რიგ კონკრეტულ საკითხებზე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა გ. გულიამ, ს. ჭელიძემ, ლომიამ, რ. წულუკიძემ, ბერულავამ, ხუბულავამ და სხვებმა,— სულ 11 კაცმა. მათ აქტივს გააცნეს ის მუშაობა, რომელსაც ატარებენ ბელადის წიგნის ღრმად შესწავლისათვის.

აქტივის კრებამ დასახა სათანადო ღონისძიებანი.

გ. მერკვილაძე

კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება

27 აგვისტოს ძერჟინსკის სახელობის კლუბში შესდგა კომკავშირის თბილისის საქალაქო აქტივის კრება. რომელმაც განიხილა შემდეგი საკითხი: ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ და თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანები. მოხსენებით გამოვიდა საქ. ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. მ. ბალავაძე. მომხსენებელმა ილუსტრაციას ამხანაგ სტალინის წიგნის უდიდეს მნიშვნელობაზე. მისი ღრმად შესწავლის აუცილებლობაზე და იმ ამოცანებზე, რომლებიც დასმულია თბილისის კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლასთან დაკავშირებით.

მოხსენების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო ამხ. ჰ. გელაშვილმა, რომელმაც აქტივის კრებას მოუთხრო, თუ როგორ აწყობს სტალინის საბჭოების თბილისის ორთქლმავალ-ვაგონსარემონტო ქარხნის ახალგაზრდობა ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლას. კომკავშირულ ორგანიზაციასთან ჩამოყალიბებულია ორი წრე, რომლებშიც გაერთიანებულია 48 ახალგაზრდა. წრეები უკვე შეუდგნენ მეცადინეობას. 170-ზე მეტი კომკავშირელი და კავშირგარეშე ახალგაზრდა ამხანაგ სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობს. დამოუკიდებლად შემსწავლელთა დასახმარებლად ქარხანაში ეწყობა მოხსენებები, ლექციები, კონსულტაციები, ინდივიდუალური საუბრები.

— რაიონის კომკავშირელთა და კავშირგარეშე ახალგაზრდობის უმრავლესობა ამხანაგ სტალინის წიგნს დამოუკიდებლად სწავლობს,— განაცხადა საქ. ალკკ ორჯონიკიძის რაიკომის მდივანმა ამხ. ა. ფარულავამ.—მათ დასახმარებლად რაიკომის პარტკაბინეტში და გილებზე აგიტკოლექტივების მიერ ტარდება ლექციები, მოხსენებები, კონსულტაციები. რაიონში ჩამოყალიბებულია 6 წრე. ამხანაგ სტალინის წიგნის შემსწავლელთა დახმარების მიზნით კომკავშირის რაიკომი და პირველადი კომკავშირული ორგანიზაციების მდივნები აწყობენ საუბრებს.

კამათში მონაწილეობა მიიღეს ავრეთვე ამხ. ტარაევმა, მირიანაშვილმა (ნავთლუღის რკინიგზის კვანძი), ო. კერძიანმ (კომკავშირის ბერიას რაიკომი), გოგიჩაიშვილმა (სტალინის რაიკომი), საფარიანმა (კიროვის რაიკომი), ა. სკოზოვცევმა, ე. ალანიამ (საქ. ალკკ თბილისის კომიტეტი).

აქტივის კრებამ მიიღო სათანადო რეზოლუცია.

სწავლობენ ამხანაგ სტალინის წიგნს

თიანეთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ჩატარდა რაიონის პარტაქტივის კრება. ამხანაგ სტალინის ისტორიული წიგნის „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ ღრმად შესწავლისა და პარტორგანიზაციების ამოცანებზე მოხსენებით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) თიანეთის რაიკომის მდივანი ამხ. ი. ღუდუშაური. აქტივმა კონკრეტული ღონისძიებანი დასახა ამხანაგ სტალინის წიგნის საფუძვლიანად შესწავლისათვის.

რაიონის კოლმეურნეობებში ჩამოყალიბებულია 14 წრე, შერჩეული და დამტკიცებულია პროპაგანდისტები, რომელთა შორის ბევრი ხელმძღვანელი მუშაკია. პარტკაბინეტში მოეწყო ლიტერატურის გამოფენა. სისტემატურად ტარდება ჯგუფური და ინდივიდუალური კონსულტაციები. წრეებში პირველი მეცადინეობა ყველგან ჩატარდა. მშრომელები უდიდესი ინტერესით ეკიდებიან ამხანაგ სტალინის წიგნის შესწავლას.

ი. გეჟანიშვილი

სკკ ჰ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო აქტივის კრება

ფოთი („კომუნისტის“ საკ. კორ.). შესდგა ფოთის საქალაქო პარტიული აქტივის კრება, რომელზეც განხილულ იქნა საკითხები: ქალაქის კოლექტიურ მეურნეობებსა და საქალაქის მოსახლეობის ციტრუსოვანთა ნარგავების მოვლის მდგომარეობის შესახებ, ქალაქში სანიტარული მდგომარეობისა და თავლაში დაცვითი ღონისძიებების გატარების შესახებ.

პირველ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა ღიწგანის გამგე ალ. ჯანუაშვილი, მეორე საკითხზე—საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მეორე მდივანი ამხ. მ. ხვინგია, ხოლო მესამე საკითხზე—ქალაქის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ი. ლაღიძე.

პირველი საკითხის გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს ამხანაგებმა: მ. გურგენაძემ, ვ. თოდუამ, ხ. ჯაიანმა, კოლასონიამ და სხვ.

აქტივის კრებაზე აღინიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ არსებობს რაიონში ციტრუსოვანთა მოვლის დარგში. გაკრიტიკებულ იქნა მიწგანის მუშაობა. აღინიშნა, რომ მიწგანის მუშაკები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ციტრუსების მოვლის საქმეს. საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებული ციტრუსების მხოლოდ 15 პროცენტია შეწამლული პირველად, ხოლო მეორე წამლობა ჯერაც არ დაუწყიათ.

ციტრუსების მოვლის საქმე არადამაკმაყოფილებლად არის დაყენებული ტელმანისა და ბაქრაძის სახელობის კოლმეურნეობებში, აგრეთვე კომუნალური მეურნეობის გამწვანების სექტორში. აღნიშნულ მეურნეობებში ნელი ტემპებით მიმდინარეობს ციტრუსებისათვის ნიადაგის დამუშავება, ციტრუსების შეწამლვა, ძირებზე ბუდნების გაკეთება. ღობის უქონლობის გამო ნარგავებს პირუტყვი ანადგურებს. ყოველივე ამას ნაკლებ ყურადღებას აქცევენ მიწგანის მუშაკები.

მეორე საკითხზე სიტყვით გამოვიდნენ ტ. ჩაჩუა, ი. კორძახია, ვ. კეშელავა, ნოვიჩოვი, რაკიტა და სხვ.

აქტივის კრებაზე გაკრიტიკებულ იქნა დასუფთავების ტრესტის, აგრეთვე კომუნალური მეურნეობისა და ქალაქის სანიტარული ინსპექციის სუსტი მუშაობა.

საქალაქო აქტივის კრებაზე შემაჯამებელი სიტყვით გამოვიდა საქ. კ. პ. (ბ) ფოთის საქალაქო კომიტეტის მდივანი ამხ. კ. ბეჟვეია.

აქტივის კრებამ მხილებულ ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის დასახა პრაქტიკული ღონისძიებანი.

დეპეშები

ინგლისის პრესა გერმანიის შინაგან საქმეთა მინისტრად ჰიმლერის დანიშვნის შესახებ

ლონდონი, 26 აგვისტო (საკდესი). უკვეთებს რა კომენტარს შინაგან საქმეთა მინისტრად ჰიმლერის დანიშვნას, ინგლისის პრესა ხაზს უსვამს, რომ ეს ღონისძიება გამოწვეულია მისწრაფებით კიდევ უფრო სასტიკი ტერორის მეთოდებით ჩაახშონ ყოველგვარი ოპოზიცია გერმანიაში. რეიტერის სააგენტო აღნიშნავს, რომ ჰიმლერის დანიშვნა მოხდა რამდენიმე საათის შემდეგ, რაც საბჭოთა ჯარებმა ხარკოვი დაიკავეს და მოკავშირეთა ავიაციამ ბერლინზე უძლიერესი თავდასხმა მოახდინა.

მიღებული ცნობების თანახმად, გერმანიის სამხედრო რაიონებს გაფიცვათა ტალღა მოედო. ვერავითარი ოფიციალური პროპაგანდა ვეღარ მოქმედებს. ზეგავლენის ზომად რჩება მხოლოდ თავშეუყავებელი ტერორი.

გაზეთი „ტაიმსიც“ აღნიშნავს, რომ გერმანელთა სულიერი განწყობილება უკანასკნელ დონემდე დაეცა. ჰიმლერის დანიშვნა ნიშნავს ჰიტლერელთა განზრახვას მიიღონ უმკაცრესი ზომები „მერყევთა, უკმაყოფილოთა და ეჭვით შეპყრობილთა“ წინააღმდეგ.

გაზეთი „ნიუს ქროიკლის“ აზრით, მოსალოდნელია გერმანიის ადმინისტრატიული აპარატის მკაცრი წმენდა, რის შედეგადაც ყველა მნიშვნელოვანი თანამდებობანი დაკავებულ იქნება „სს“-ელების მიერ.

გაზეთი „დეილი მეილი“ სწერს, რომ ჰიმლერის შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშვნა შეიძლება შეკავაროთ საშუალო საუკუნეთა რომელიმე მონარქის მიერ თავისი მთავარი ჯალათის მთავარ სახელმწიფო მინისტრად დანიშვნასო.

ღრმად მაუნგბეგზენის დანიშვნა მოკავშირეთა ჯარების მთავარსარდლად სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში

ლონდონი, 26 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, კვებეკში თათბირზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნას მოკავშირეთა ჯარების ცალკე სარდლობა. უმაღლეს მთავარსარდლად აქ დანიშნულია ლორდი მაუნტბეტენი.

ლენინგრადი ხალხი მხედრდება ჰიტლერელი ოკუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად

სტოკჰოლმი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც გაზეთი „სტოკჰოლმს ტიდნინგენი“ იუწყება, დანიის ნაციადგურ ჰელსინგერში მიღებული იქნა გადაწყვეტილება სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში შეიქმნას

გაზეთ „ნიუა დაგლიგტ ალეჰანდას“ ცნობებით, დანიის ქალაქებში—ორხუსსა, სილკებორგსა, კოლდინგსა და ესბიერგში ჩადგენილ იქნა ახალი დივერსიული აქტები. გაზეთ „სიუდსვენსკა დაგბლადეტის“ ცნობით, 23 აგვისტოს ღამით ჩადენილ იქნა ცხრა დივერსიული აქტი, მათ შორის—თვითმფრინავებისათვის ნაწილების დამამზადებელ ქარხანაში, ნავსადგურში და კრიუსტენის ფირმის რადიომოწყობილობისა და ელექტრონივთების დიდ ქარხანაში. სკანდინავიის დეპეშათა ბიურო გადმოგვცემს, რომ 24 აგვისტოს ჩრდილოეთ იუტლანდიაში თავს დაესხნენ მატარებელს.

ჰიტლერელთა მხეცობა ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში

ლონდონი, 27 აგვისტო (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, ლონდონში გამოქვეყნდა ცნობები ევროპის ოკუპირებულ ქვეყნებში ჰიტლერელების მიერ ჩადენილ დანაშაულთა შესახებ. ცნობები აღებულია მნახველთა ჩვენებებიდან, რომლებიც შეადგენენ ბელგიის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთის და ჰიტლერელთა ოკუპაციის უღელქვეშ მყოფი სხვა ქვეყნების მთავრობათა წარმომადგენლებმა.

ყოველ ოკუპირებულ ქვეყანაში ჰიტლერელები მასობრივად ანატმრებენ და აწამებენ მოსახლეობას, ატარებენ მძევლების სისტემას, მასობრივად სჯიან სიკვდილით და აძევებენ ხალხს, მიმართავენ იძულებითს შრომას, საკონცენტრაციო ბანაკებში ათავსებენ მცხოვრებთ. ჩეხოსლოვაკიის დაბა ლიბიცეს ტრაგედია განმეორდა პოლონეთსა და იუგოსლავიაში. პოლონეთში ჰიტლერელები თავიანთ მსხვერპლთ სიკვდილის გაზიან კამერებში ჭყლავენ. საფრანგეთში ერთი გერმანელის მოკვლისათვის ხვრეტდნენ 50-დან 100-მდე მძევალს.

თვით ჰიტლერელთა აღიარებით, ჯალათ ჰაიდრიხის სიკვდილისათვის დასჯილ იქნა სიკვდილით 1.288 ჩეხი. ჰკლავდნენ მთელ ოჯახებს, დამოუკიდებლად სქესისა და ასაკისა.

გაქარცულ და გაღატაკებულ საბერძნეთში ასეულათასობით ადამიანი იმდენად დაუძლურებულია, რომ მათ არავითარი მუშაობა არ შეუძლიათ.

გერმანელთა ტერორი იუგოსლავიაში, რაც ბაერიდან ბელგრადის ულმობელი დანგრევით დაიწყო, არა წყდება. მთელ ქალაქებს სპობს ჰიტლერელთა ავიაცია, რომელიც ცეცხლგამჩენ ბომბებს აყრის მათ. იუგოსლავიის ერთერთ ოლქში ერთი თვის განმავლობაში გაულეტილ იქნა 16 ათასზე მეტი კაცი. გერმანელები აღიარებენ, რომ ქალაქ კრალევოში მათ სიკვდილით დასჯეს 6 ათასი კაცი.

თეირანში დააპატიმრეს გერმანელი ჯაშუში

თეირანი, 23 აგვისტო (საკდესი). პოლიციის სამმართველომ გამოაქვეყნა ცნობა, რომ ამ დღეებში თეირანში დაპატიმრებულ იქნა გერმანელი ჯაშუში და რომ, არსებული ცნობების თანახმად, ირანში კიდევ არის რამდენიმე გერმანელი ჯაშუში, რომელთა მიზანია შეიქმნან უწესობა და პროვოკაციები, მიმართული ირანსა და მოკავშირეებს შორის ურთიერთობის გაუარესებისა და ირანის კომუნიკაციების დანგრევისაკენ. ცნობაში შემდეგ ნათქვამია, რომ, რადენადაც ურთიერთობა ირანსა და მოკავშირეებს შორის დღითიდღე უფრო მტკიცდება და საერთო საგგებლობას ეწევა, ყველას, ვინც კი წარმოადგენს ცნობებს, რომელთა საფუძველზეც შესაძლებელი იქნება ირანში უნებართვოდ მცხოვრები ყოველი გერმანელის დაპატიმრება, ირანის მთავრობა ფულადს ჯილდოს მისცემს.

უცხოეთის ქრონიკა

გერმანიის ავიაცია თავს დაესხა ინგლისის სამხრეთ სანაპიროზე მდებარე ქალაქს. მოკლულია 12 კაცი. ბევრი დაიჭრნენ. თავდასხმაში მონაწილეობას იღებდა მოწინააღმდეგის 25-მდე თვითმფრინავი.

* * *

იუგოსლავიელმა პარტიზანებმა, რომელებმაც ამას წინათ დაიკავეს ქალაქი და რკინიგზის სადგური მაგლაი, გერმანელთა ჯარების დიდი რაზმი გაანადგურეს. მოკლულია 148 ჰიტლერელი ჯარისკაცი და ოფიცერი. პარტიზანებმა ხელთ იგდეს ბევრი სამხედრო ქონება.

* * *

ინგლისში ჩავიდა კანადის სამხედრო-საჰაერო ძალთა დიდი კონტინგენტი.

* * *

ნორვეგიაში მყოფ გერმანელთა საოკუპაციო ნაწილებში თავი იჩინა სასოწარკვეთილებამ და სამხედრო დისციპლინის დაცვამ. ჯარისკაცები აცხადებენ, რომ იარაღს დაჰყრიან, თუ ნორვეგიაში სამხედრო მოქმედება დაიწყება. (საკდესი).

უკრაინელი და რუსი მსახიობნი ხარკოვს გეემგზავრნენ

მოსკოვიდან ხარკოვში კონცერტებზე გაემგზავრა ცნობილ უკრაინელ და რუს მსახიობთა ჯგუფი—სსრ კავშირის სახალხო არტისტი ქალი ლიტვინენკო-ვოლგემუტი, უკრაინის სსრ-ის სახალხო არტისტები პატარუინსკი და შუმსკი, უკრაინის სსრ-ის დამსახურებული არტისტი ლაპტევი, სსრ კავშირის სახალხო არტისტი კოზლოვსკი, რუსეთის სფსრ-ის დამსახურებული არტისტი ლებედევი. მომღერლები რუდენკო, ფედორენკო. ძველ გეგზავნა შუაზიიდან ბალეტ ბრიგადა კიროვის სახელობის სახელმწიფო დრამატიული თეატრის მსახიობები.

მოსკოვის თეატრების დაბრუნება

მოსკოვის საბჭოს, რეევაკუაციის, კამერული, სტატირის, ოპერეტის, ებრაელთა, ცენტრალური სამაგვიარო და მოსკოვის მოზარდ მაყურებელთა თეატრები, რომლებიც 22 თვის განმავლობაში მოსკოვს გარეთ იყვნენ, მოკლე ხანში დედაქალაქში ბრუნდებიან.

თეატრები თავიანთ წარმოდგენებს მართავენ ურალის, ციმბირისა და შუა აზიის ქალაქებსა, მუშათა დაბებსა და კოლმეურნეობებში. ათეულობით მხატვრული ბრიგადები აღნიშნული ადგილებიდან ფრონტზე მიემგზავრებიან. (საკდესი).

„სახალხო შურისმგებლები“

მოსკოვის კინოთეატრებში უჩვენებენ კინოქრონიკის ცენტრალური სტუდიის ახალ დოკუმენტალურ ფილმს „სახალხო შურისმგებლები“. ფილმის ავტორი-რეჟისორია სტალინური პრემიის ლაურეატი ვ. ბელიაევი, რეჟისორი—ნ. კომარცევი. ფილმი გადაიღეს ოპერატორებმა ი. ვეინეროვიჩმა, ნ. ბიკოვმა, მ. გლიდერმა, ბ. დემენტიევმა, გ. დონეცმა, ლ. იზაკოვმა, ა. კაირომა, ბ. მასეევმა, მ. სუხოვმა, ბ. ეიბერგმა. კომპოზიტორია დ. ასტრადანცევი.

ფილმი ასახავს პარტიზანების გმირულ ბრძოლას სამამულო ომის დღეებში. მთელი ფილმი გადაღებულია მტრის მიერ დროებით ოკუპირებულ რაიონებში. ფილმში ნაჩვენებია საბრძოლო საქმეები მთელი რიგი პარტიზანული რაზმებისა. ეკრანზე მაყურებელი იხილავს ბელორუსიის სახელგანთქმულ პარტიზანს, სამოქალაქო ომის მონაწილეს მანაის და მის რაზმს, ქმების ინგატოვების სახელობის რაზმს, უკრაინელ პარტიზანთა ლეგენდარულ მეთაურს, საბჭოთა კავშირის გმირს გენერალ-მაიორს „პაპა“ იგნატოვს და სხვ.

ახლო ხანში ფილმს მიიღებენ თბილისის კინოთეატრები.

ხელოვნების მუშაკები ეხმარებიან განთავისუფლებულ რაიონებს

საქართველოს ხელოვნების მუშაკები აქტიურად ეხმარებიან გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებს ხელოვნების აღდგენის საქმეში. კუიბიშევის ოპერის, ბალეტისა და მუსიკმედიის თეატრის მუშაკთა მოწოდება დამუშავდა საქართველოს ყველა მოწოდისა და სახელოვნო დაწესებულებაში. ხელოვნების მუშაკები გულდასმით ეცნობიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსა და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას „გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში მეურნეობის აღდგენის გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ“. ეს დადგენილება დიდ მოვალეობას აკისრებს ხელოვნების მუშაკებსაც, რომლებმაც გასულ სეზონში უკვე დაიწყეს თანხების შეგროვება განთავისუფლებული რაიონების ხელოვნების აღსადგენად. თბილისის საოპერო თეატრის, რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრის, მუსკომედიის, სომხური და აზერბაიჯანული თეატრების მაგალითს რაიონებმაც მიბაძეს. გორის თეატრმა 11.000 მანეთი შეგროვა, ქუთაისის თეატრმა—5.500 მან., სტალინირის თეატრმა—7.400 მან., ფოთლიკოსის თეატრმა—4.000 მან., მახარაძის თეატრმა—1.000 მან. და ა. შ. განთავისუფლებული რაიონების ხელოვნების აღდგენის ფონდში საქართველოს თეატრების მიერ დღეისათვის გადარიცხულია სულ 117.400 მან. 1943-44 წლის სეზონში თანხების შეგროვება ამ მიზნისათვის სპეციალური წარმოდგენების გამართვის საშუალებით კიდევ უფრო გაფართოვდება. გარდა ფულადი საჩუქრებისა, თეატრები აგროვებენ ფარდებს, გრიმს, პარიკებს, რეკვიზიტს, ბუტაფორიას, ტანსაცმელს და სხვა სასცენო მოწყობილობას განთავისუფლებული რაიონების თეატრების აღსადგენად.

ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის შეკრება

ზესტაფონი („კომუნისტის“ საკ. კორ.). ამ დღეებში ჩატარდა ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის კოლექტივის შეკრება, რომელიც შესავალი სიტყვით გახსნა ქარხნის პარტბიუროს მდივანმა ამხ. ალ. მესხმა. შეკრებაზე მისასალმებელი სიტყვით გამოვიდა „ბლავსპეცსტალის“ წარმომადგენელი ამხ. ხამოშინი. მან ქარხნის კოლექტივს მიულოცა ბრწყინვალე გამარჯვება და ქარხნის დირექტორს ამხ. ივ. კეკელიძეს გადასცა ჰროფკავშირთა საკავშირო ცენტრალური საბჭოსა და შავი მეტალურგიის სახალხო კომისარიატის გარდამავალი წითელი დროშა. ამხ. კეკელიძემ დროშა ჩაბარა საბჭოთა კავშირის ფეროშენადნობთა საუკეთესო საამქროს უფროსს ამხ. ლ. მაღლაკელიძეს, რომელმაც საამქროს სახელით ახალი ვალდებულებები აიღო. შეკრებაზე სიტყვებით გამოვიდნენ ამხ. ამხ. თედოსაშვილი, გოგლიჩიძე, მელქაძე, კლიმენკო, ბაშაკიძე და სხვ., რომლებმაც გარდამავალ დროშის მიღებასთან დაკავშირებით ახალი საწარმოო ვალდებულებები იკისრეს.

შეკრებას ესწრებოდა საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი მრეშვილობა დარგში ამხ. ზ. ჩხუბიანიშვილი.

ზესტაფონელი მეტალურგების გეგმის გადამეტებით იძლევიან მაღალხარისხოვან ლითონს, გამარჯვებით ხვდებიან სტახანოვური მოძრაობის რვა წლის თავს.

ჰ. ფიოლაკაძე

გორის სახელმწიფო თეატრში

1943-44 წლის სეზონს გორის თეატრი იწყებს 1 სექტემბერს ი. ვაკელის „შამილით“. გარდა ამისა, აღდგენილი იქნება წინა წლების შემდეგი დადგმები: „მკაცრი დროება“, „შურისძიება“, „ჭირვეული ცოლის მორჯულება“, „არშინ მალ-ალანი“, „რლვევა“, „კინტო“, „უდანაშაულო დამნაშავენი“, „ხანუმა“ და „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“.

ახალ სეზონში თეატრი უჩვენებს შემდეგ ახალ დადგმებს: ა. სუმბათაშვილის „ღალატს“ (დადგმა პ. ფრანგიშვილისა, მხატვრული გაფორმება ი. სუმბათაშვილისა), ჰრეგორი შენდგეთა 30 სექტემბერს; გოლდონის კომედიას „საპატარძლო აფიშით“ დასდგამს ო. ალექსიშვილი, მხატვრულად აფორმებს ი. სუმბათაშვილი. ოქტომბრის დღესასწაულისათვის თეატრი დასდგამს მ. ჯაფარიძის პიესას „ეს ბატონი ასული“ (დადგმა ს. ვარნაძისა). სეზონის მეორე ნახევარში თეატრი აღნიშნავს თავისი არსებობის 5 წლისთავს. ამ დღისათვის განზრახულია გამოიცეს ბროშურა „გორის თეატრი“.

შეჯიბრება ცურვაში

22 აგვისტოს საცურაო აუზში შესდგა შეჯიბრება ცურვაში საბჭოთა კავშირის საუკეთესო მცურავთა მონაწილეობით.

თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში საუკეთესო შედეგი გვიჩვენა ევროპის ჩემპიონმა ვ. უშაკოვმა. ფინიშთან მეორე მოვიდა ინწკირველი (ფიზკულტურის ინსტიტუტი). „ბრასის“ სტილით 200 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი მოვიდა გუსევი (ნ ნაწილი) 3 წუთსა და 17,8 წამში. „ბრასის“ სტილით 100 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი მოვიდა მსოფლიო რეკორდსმენი სიმონ ბოიჩენკო 1 წუთსა და 13 წამში. ქალებიდან თავისუფალი სტილით 100 მეტრზე ცურვაში ფინიშთან პირველი მოვიდა მაკოკინა (ფიზკულტურის ინსტიტუტი), მეორე ადგილზე გამოვიდა ალექსეენკო („სპარტაკი“). სსრ კავშირის ჩემპიონმა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ვასილ კაზაკოვმა გვიჩვენა „ზურგზე“ ცურვა 100 მეტრზე.

საინტერესო იყო ნ ნაწილის მეთაურთა ცურვა ტანსაცმლიანად 50 მეტრზე. ფინიშთან პირველი მივიდა პოდდუბნე, 1 წუთსა და 0,2 წამში. შეჯიბრების მონაწილე ვანნაძემ (ფიზკულტურის ინსტიტუტი) წყალქვეშ გასცურა 50 მეტრი 44,4 წამში. წყალში ხტომაში დიდი ოსტატობა გვიჩვენა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ვლადიმერ გაიკოვომ.

შეჯიბრების დასასრულს შესდგა თამაში წყლის პოლოში. გამარჯვება ხვდა მსოფლიო რეკორდსმენის, ორდენოსან სიმონ ბოიჩენკოს გუნდს (ანგარიშით 4:2).

ლექციები ჯ მოხსენებები

28 აგვისტოს, სალამოს 7 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბილისის ორგ. მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში (პლეხანოვის პროსპ. № 83) შესდგება ამხ. ი. მამიანის მოხსენება თემაზე: **ამხანაგ სტალინის წიგნი „საბჭოთა კავშირის დიდი სამამულო ომის შესახებ“ და ძირეული პრესის ამოცანები.**

კინოებში

რუსთაველის სახ. — „ძველ ჩიკაგოში“. **ოქტომბერი**—„ძველ ჩიკაგოში“. **დამკვრელი**—„კოტოფეკი“. **კომკავშირელი**—„ნათელი გზა“. **სპარტაკი** — „გამარჯვებულს მოგელით“ და „დათვი“. **ლუკუმბურგი** — „ის იცავს სამშობლოს“. **26 კომ. სახ.**—„ვალის ნელოდები“. **განთადი**—„დაბრუნება“.

პასუხისმგებელი რედაქტორი ვ. ხატიაშვილი

სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის ცენტრალური სტატ. სამმართველოს თბილისის ეკონომ.-სტატისტიკური ტექნიკუმი აცხადებს **ტექნიკუმში მიღებას 1943-44 სასწავლო წლისათვის.**

ტექნიკუმი ამზადებს საშუალო კვალიფიკაციის სპეციალისტებს — ეკონომისტ-სტატისტიკოსებს და ეკონომისტ-ბუხჰალტრებს.

ტექნიკუმში მეცადინეობა სწარმოებს ქართულ და რუსულ ენებზე. ტექნიკუმში მიიღებიან ორივე სქესის მოქალაქენი 15-დან 39 წლამდე, რომელთაც დამთავრებული აქვთ საშუალო სკოლა (შვიდწლედი) ანუ საშუალო სკოლის 7 კლასი.

10 წლედადამთავრებულნი მიღებული იქნებიან უკანასკნელ კურსზე. განცხადებების მიღება სწარმოებს 25 სექტემბრამდე.

მეცადინეობა დაიწყება 1 ოქტომბერს. დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 10-დან 3 საათამდე.

ტექნიკუმის მისამართი: თბილისი ბარნოვის ქ. № 10, ტელ. № 3—54—82.

დირექცია

თბილისის გეოფიზიკური ობსერვატორია აწარმოებს მსმენელთა მიღებას მეტეოროლოგიური სადგურების დამკვირვებელთა და ტექნიკოს-მეტეოროლოგთა კურსებზე.

კურსდამთავრებულნი გაიგზავნებიან სამუშაოზე საქართველოს სსრ რაიონებში.

პირობების გასაგებად მიმართეთ კადრების განყოფილებას (პლეხანოვის პროსპ. № 150) სამუშაო საათებში. 128

თბილისის ფიზიკური კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტი აცხადებს **მიღებას 1943-44 სასწავლო წლისათვის.** განცხადებები მიიღება 15 სექტემბრამდე. სწავლების კურსი 4 წლიანია. ჩარიცხულებს მიეცემათ სტიპენდია 215-270 მან. რაოდენობით საერთო საფუძველზე. ჩამოსულები უზრუნველყოფილი იქნებიან საერთო საცხოვრებლით.

გარდა ამისა, სტუდენტებს წელიწადში ორჯერ უფასოდ მიეცემათ სასპორტო ტანსაცმელი და ფეხსაცმელი, მიმგზავრებული იქნებიან დახურულ განმანაწილებელზე და უზრუნველყოფილნი იქნებიან კვებით სამრეწველო საწარმოების ნორმების მიხედვით.

ყველა კურსის სტუდენტებს უგრძელდებათ წითელ არმიაში გაწვევის გადადება სწავლის დამთავრებამდე.

ცნობების მიღება შეიძლება მისამართით: თბილისი, მარის ქ. № 27.

137 **დირექცია.**

გაზ. „კომუნისტის“ რედაქციას ესაჭიროება
კორექტორები და საწერი მანქანის გამოცდილი მემანქანეები
პირობების გასაგებად მსურველებმა უნდა მიმართონ რედაქციაში—ლენინის ქ. № 28, ოთახი № 4 პასუხისმგებელ მდივანს. ტელეფონი № 3-08-67 ან 3-06-88.

საჭიროა
ზეინკალი—მეცეცხლური
მისამართი: ქ. თბილისი, ლენინის ქ. № 28, კომბინატი „კომუნისტი“.

ქართველი ხალხის მამაცი შვილი

კოლმეურნე დავით თავაძე კომკავშირის რაიკომის საგზურით მივიდა აეროკლუბში. სამედიცინო კომისიამ ოცი წლის ჭაბუკი სამფრენოსნო სამსახურისათვის ვარგისად სცნო, ხოლო სამანდატო კომისიამ იგი აეროკლუბის კურსანტად ჩარიცხა. ასე დაიწყო 1936 წელს დავით თავაძის საფრენოსნო სწავლის დღეები.

ცოდნისმოყვარე, გონიერი ჭაბუკი ბეჯითად სწავლობდა. მალე ის ინსტრუქტორთან ერთად პირველად გაფრინდა ზონაში. ქალაქი, სადაც მან გაატარა ბავშვობა, დაამშვენა შვიდწლედი, სწავლობდა ინდუსტრიულ ტექნიკუმში, მაღლიდან მას კიდევ უფრო დიდად და ლამაზად ეჩვენა. თვალმოუშორებლივ უნდოდა ეცქირნა მისთვის, დამტბარიყო ნაცნობი ქუჩების სანახაობით, მაგრამ ინსტრუქტორმა მანქანა უცებ ძლიერ გადახარა, და ყველაფერი ზემოთ აექანა.

— ჰაერში უყურადღებო ხართ,—ჩაულაპარაკა ინსტრუქტორმა, მოიხადა ჩაფხუტი და თვითმფრინავს გაშორდა.

გამოცდილი მფრინავის შენიშვნამ დავითს გული ატკინა. მან თავის ბავშვ სიტყვა მისცა, რომ მეტ შენიშვნას აღარ მიიღებდა, იქნებოდა ბეჯითი, დისციპლინიანი, პუნქტიანი, იქნებოდა ისეთივე, როგორც მისი მასწავლებელი—ძველი, გამოცდილი მფრინავი.

თავაძემ აეროკლუბი „ფრიადზე“ დაამთავრა. მას შეუყვარდა თავისი გამგონე სასწავლო მანქანა, ჰაერის უსაზღვრო ოკეანე. დაიწყო ოცნება საბრძოლო თვითმფრინავზე, ავიაგამანადგურებლის კარიერაზე.

— თავაძისაგან კარგი ინსტრუქტორი გამოვა,—სთქვეს აეროკლუბში. ამათ გადაწყვეტა მისი შემდგომი ბედი. გაგზავნეს ქალაქ ნ-ის ინსტრუქტორთა სკოლაში. დავით თავაძემ სკოლა ბრწყინვალედ დაამთავრა.

უმცროსი ლეიტენანტის წოდებით ჩავიდა თავაძე ნ-ის აეროკლუბში. აქ ის გულმოდგინედ და ბეჯითად შეუდგა კურსანტთა სწავლებას. მის ნაცად ხელში მრავალმა ათეულმა ადამიანმა გაიარა. კეთილსინდისიერად, დიდი სიყვარულით ასწავლიდა მ